ირმა მალაციძე

კომპასი

კლასი V
კითხვის დონე – 5.3
ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მადლობას უხდის ლელა ქისტაურს, რეზო გოგიას და ნუგზარ არჩემაშვილს, რომლებმაც პაატა პაპავას ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ წიგნის მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მედეა კაკაჩიას (USAID) გაწეული დახმარებისთვის.

წიგნი მომზადდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ თანამშრომლობით.

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალების შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE G-PRIED Georgia Primary Education Project საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

SAKPATENTI NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA www.sakpatent.org.ge

ირმა მალაციძე

კომპასი

დიდი მთის ძირას სოფელი იყო გაშენებული. სოფელს ერთი მხრიდან უღრანი ტყე აკრავდა, მეორე მხარეს კი მდინარე ჩამოედინებოდა. ისეთი ლამაზი ბუნება იყო, აქ სეირნობას არაფერი სჯობდა.

აქაურები ხშირად დადიოდნენ მდინარის ნაპირას სასეირნოდ. ტყეშიც ხშირად შედიოდნენ. ხან შეშის მოსაჭრელად, ხან კი სოკოს და კენკრის მოსაკრეფად. მაგრამ შორს წასვლას ვერავინ ბედავდა. ან კი როგორ გაბედავდნენ? ტყე ისეთი უღრანი და გაუვალი იყო, იქიდან გზის გამოგნება ყველას უჭირდა.

ერთ დღეს ბიჭები შეიკრიბნენ და ტყეში წასვლა გადაწყვიტეს. მათ გოგონებიც შეუერთდნენ, კალათაში ღვეზელები და ფუნთუშები ჩააწყვეს და გზას გაუდგნენ. იფიქრეს, რომ დავიღლებით, შევისვენებთ, შევჭამთ, ცარიელ კალათებს კი სოკოთი ავავსებთ და შინ ისე დავბრუნდებითო.

ტყეში ისეთი საამო სურნელი იდგა, ჩიტებიც ისე ჭიკ-ჭიკებდნენ, რომ ბავშვებს წახემსება არც გახსენებიათ. დარბოდნენ და თამაშობდნენ. დრო სწრაფად გავიდა. ვერც კი შეამჩნიეს, როგორ დაბინდდა.

– ძალიან გვიანია, უკვე ბნელდება. შინ დავბრუნდეთ, თორემ მშობლები ინერვიულებენ, – თქვა ერთმა გოგონამ.

ბავშვებმა მხოლოდ მაშინ შენიშნეს, რომ დღე უკვე გასულიყო და ღამდებოდა. ცოტა შეშინდნენ და შინ დაბრუნება გადაწყვიტეს. ბევრი იარეს, ეძებეს, მაგრამ გზა ვეღარ გაიგნეს. ერთი ბიჭი მაღალ ხეზე აძვრა, იქნებ ტყიდან გამავალი ბილიკი დავინახოო, მაგრამ უკვე ბნელოდა და აღარაფერი ჩანდა. ბავშვებს ძალიან შეეშინდათ და ტირილი დაიწყეს.

ახლა სახლში რა ხდებოდა, არ იკითხავთ? ბავშვებმა რომ დაიგვიანეს, მშობლები ძალიან შეშფოთდნენ. დაიწყეს ძებნა. მთელი სოფელი გამოეფინა, ჩირაღდნები აანთეს და ტყეში შევიდნენ. დიდი ხნის ძებნის შემდეგ, ბავშვების ძახილი შემოესმათ, რომლებიც საშველად იხმობდნენ ხალხს. ხმას მიჰყვნენ და დაკარგულ პატარებს მიაგნეს.

გაიხარეს ბავშვებმა. ტირილით ჩაეხუტნენ მშობლებს და დაჰპირდნენ, არასოდეს აღარ წავალთ ტყეში მარტოო.

ამ სოფელში ერთი კაცი ცხოვრობდა. გამუდმებით სახელოსნოში ჩხირკედელაობდა, ამიტომ აქაურებმა ჩხირკედელა შეარქვეს. ბავშვების საძებნელად ისიც იყო წასული. ხოლო შინ რომ დაბრუნდა, სარწეველა სავარძელში ჩაჯდა და დაიწყო ფიქრი:

„რაღაც უნდა მოვიფიქრო. ტყეში გზის გაგნება იოლი

არ არის. ბავშვი კი არა, დიდიც შეიძლება დაიკარგოს. კარგი იქნება, ისეთი რამ არსებობდეს, რაც ადამიანს დაეხმარება“.

მთელი ღამე იჯდა სავარძელში და ფიქრობდა. გამთენიისას გონება გაუნათდა და შეჰყვირა:

– მივხვდი, რაც უნდა გავაკეთო!

მაშინვე თავის სახელოსნოს მიაშურა. მოძებნა ძველი, გაფუჭებული საათი. იქიდან მექანიზმი და ისრები ამოიღო და ახალი მოწყობილობის გაკეთებას შეუდგა, რომელიც სულ მალე მზად იყო. ის საათს ჰგავდა. მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ ორის ნაცვლად ერთი ისარი ჰქონდა, რომელიც ღერძზე თავისუფლად მოძრაობდა. ხოლო ციფერბლატზე, 12-ის, 3-ის, 6-ის და 9-ის ადგილას ასოები ეწერა: „ა“, „დ“, „ჩ“ და „ს“.

ალბათ მიხვდით, რომ ეს ნივთი კომპასი იყო. ასოები კი მხარეებს აღნიშნავდა – აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი. ამ მოწყობილობით ადამიანი უღრან ტყეშიც გაიგნებდა გზას და შუა ზღვაშიც იოლად ამოიცნობდა მხარეს.

სულ მალე მთელმა სოფელმა შეიტყო ახალი გამოგონების შესახებ. ვინ აღარ მიდიოდა ჩხირკედელასთან. ვინ აღარ სთხოვდა, მისთვის კომპასი დაემზადებინა.

რაც მთავარია, ახლა ყველას შეეძლო ტყეში უშიშრად შესვლა. შეშასაც აგროვებდნენ, სოკოსაც კრეფდნენ, კენკრასაც და სახლშიც მშვიდობით ბრუნდებოდნენ. და ეს ყველაფერი კომპასის წყალობით ხდებოდა.

ერთხელ სოფელში უცხო კაცი გამოჩნდა. არავინ იცოდა, საიდან ჩამოვიდა. კაცს გვერდით საპალნით დატვირთული ვირი მოჰყვებოდა. როგორც გაირკვა, ვაჭარი იყო.

ვირს კი აბრეშუმის ქსოვილებით და სხვადასხვა წვრილმანით სავსე ტომრები ჰქონდა აკიდებული. ვაჭარი სოფლის შუაგულში გაჩერდა და დახლი გამართა. ამოაწყო თავისი საქონელი და მყიდველს დაელოდა.

მალე მთელმა სოფელმა დახლთან მოიყარა თავი. არჩევდნენ ქსოვილებსა და სამკაულებს, ღილებსა და თასმებს. სულ მალე ვაჭარმა მთელი საქონელი გაყიდა და ის-ის იყო, წასვლას აპირებდა, რომ ერთ-ერთი სოფლელის ხელში კომპასი დაინახა. ვაჭარი დაინტერესდა – ეს რანაირი საათიაო. რომ გაიგო, რა იყო ეს ნივთი და რაში გამოიყენებოდა, კაცს სთხოვა:

– მომყიდე კომპასი. რასაც დამიფასებ, იმას მოგცემ.

კაცმა იფიქრა, ძვირად მივყიდი, მერე კი ჩხირკედელას ახალს დავამზადებინებო და ვაჭარს კომპასი მიჰყიდა.

გახარებული ვაჭარი ვირზე შეჯდა და ქალაქში და-

ბრუნდა. იქ ოსტატები მოძებნა. კომპასი მისცა და უთხრა:

– ზუსტად ასეთი დამიმზადეთო.

ოსტატმა ბევრი ატრიალა კომპასი. დაშალა, ისევ ააწყო. გაარკვია, როგორ მუშაობდა და თვითონაც მსგავსი მოწყობილობა გააკეთა. ვაჭარმა იფიქრა, ეს რა სარფიანი საქონელი ჩავიგდე ხელშიო. ოსტატს უამრავი კომპასი დაამზადებინა. ტომარა კომპასებით გაავსო, ვირს აჰკიდა და სავაჭროდ დიდ ზღვისპირა ქალაქში გაემართა.

იქ მებადურებთან მივიდა და კომპასი უჩვენა.

– ნახეთ, რა საჭირო ნივთია. ზღვაში გზას იოლად გაიგნებთ და ნაპირსაც იოლად მოადგებითო.

მებადურებს ძალიან მოეწონათ კომპასი. ის ხელიდან ხელში გადადიოდა. ვაჭარმა მთელი ტომარა ერთ დღეში გაყიდა. გახარებულმა იფიქრა, წავალ, ოსტატთან დავბრუნდები და ახალ კომპასებს დავამზადებინებო, მაგრამ ნაადრევი იყო მისი სიხარული.

მოულოდნელად მასთან უცნობი მივიდა და გამომყე-

ვითო, სთხოვა. ვაჭარს, ცოტა არ იყოს, შეეშინდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, გაჰყვა. უცნობი შენობაში შევიდა. ვაჭარიც შეჰყვა.

– აქ რისთვის მომიყვანეთ? – გაუბედავად იკითხა ვაჭარმა.

– მე ერთ-ერთი მათგანი ვარ, ვინც გამომგონებლების უფლებებს იცავს. – უპასუხა უცნობმა.

ვაჭარი დაიბნა.

– მერე, მე რა შუაში ვარ?

– განა თქვენ არ ჰყიდდით ახალ გამოგონებას, კომპასს?

– კი, ვყიდდი. მაგრამ მე ხომ ის ვიყიდე.

– იყიდეთ ერთი კომპასი და არა მისი დამზადების უფლება.

– ეგ სულერთი არაა? – მხრები აიჩეჩა ვაჭარმა.

– არა. იმისათვის, რომ თქვენ დაამზადოთ და გაყიდოთ გამოგონება, საჭიროა ამის უფლება შეიძინოთ. – აუხსნა უცნობმა.

ალბათ გაინტერესებთ, საიდან შეიტყო მან კომპასის შესახებ.

ჩხირკედელამ იცოდა, რომ თუ ახალ ნივთს გამოიგონებდა, აუცილებლად უნდა დაეპატენტებინა. ერთხელ ეს გაზეთში ამოიკითხა და ახსოვდა.

გაზეთში იმასაც წერდნენ, ვისთვის უნდა მიემართა გამომგონებელს, თუ რაიმეს გამოიგონებდა. მოძებნა ძველი გაზეთი და მისამართსაც მიაგნო. წერილი გაუგზავნა და მისწერა კომპასის შესახებ. გამომგონებელი ტყუილად როდი მოიქცა ასე. ფიქრობდა, რომ ვინმე აუცილებლად ეცდებოდა მისი გამოგონების მითვისებას,

როგორც ეს ვაჭარმა გააკეთა.

როცა გამომგონებლების უფლებების დამცველებმა ყველაფერი აუხსნეს, ვაჭარმა ყურები ჩამოყარა. მიხვდა, რომ სხვა გზა არ ჰქონდა. იძულებული გახდა, შეეძინა უფლება. სამაგიეროდ, ახლა მშვიდად შეეძლო ოსტატებისთვის რამდენიც უნდოდა, იმდენი კომპასი შეეკვეთა და გაეყიდა.

ასეც მოიქცა.

ამის შემდეგ გამომგონებელ ჩხირკედელასაც საქვეყნოდ გაუვარდა სახელი. კომპასი ძალიან პოპულარული გახდა. თითქმის ყველა ოჯახში ჰქონდათ ეს ნივთი. ამიტომ მშობლებს აღარ ეშინოდათ ბავშვების ტყეში გაშვება. იცოდნენ, რომ კომპასის დახმარებით ისინი გზას ყოველთვის გაიგნებდნენ.